91 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი, გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.



91 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი● გამოდის 1933 წლიდან ●№18 (7117) 17 სექტემბერი 2024 წელი

იმერეთში ახალი სახელმწიფო რწმუნებული დაინიშნა

ახლადდანიშნული სახელმწიფო რწმუნებული იმერეთში, ლევან ზალკალიანი, რეგიონის მერებს, საკრებულოს თავმჯდომარეებს და თანამშრომლებს რწმუნებულის ადმინისტრაციაში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ნიკა ტყემალაძემ წარუდგინა. მან მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა ლევან ზალკალიანს.

ლევან ზალკალიანი იმერეთის მკვიდრია, დაბადებული და გაზრდილია ქუთაისში, მან კარგად იცის იმერეთის მოსახლეობის საჭიროებები, ლევან ზალკალიანს მაღალი პროფესიული კვალიფიკაცია აქვს, კარიერის განმავლობაში იკავებდა სხვადასხვა მაღალ თანამდებობებს, მათ შორის მუშაობდა რაჭა-ლეჩხუმ ქვემო-სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილის პოზიციაზე, ასევე, უკანასკნელ პერიოდში იყო ცაგერის მერი.

წარდგენის შემდეგ, მედიასთან ახლადდანიშნულმა სახელმწიფო რწმუნებულმა განაცხადა: „პირველ რიგში მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოს მთავრობას და ჩვენს პოლიტიკურ გუნდს, „ქართულ ოცნებას“ ნდობისთვის და მხარდაჭერისთვის. სრულიად გათავისებული მაქვს ეს უდიდესი პასუხისმგებლობა და ყველანაირად ვეცდებით და მთელი გუნდით გავაგრძელებთ იმ მიმართულებით სვლას, რაც არის ჩვენი ქვეყნისთვის პრიორიტეტი. ეს არის ეროვნული იდენტობა, ეს არის სუვერენიტეტი, ეს არის ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნვა.

რაც შეეხება იმერეთს ვიცნობ თუ არა, რა თქმა უნდა ძალიან კარგად ვიცნობ. ქუთაისში დაბადებული ვარ და როგორც ეს ქალაქი, ასევე მხარე ჩემთვის კარგად ნაცნობია. მე გავეცანი მხარის განვითარების მიმართულებით რა პროექტები ხორციელდება და მინდა აღვნიშნო, რომ ყველა მიმდინარე პროექტი ორიენტირებულია მოსახლეობის საჭიროებებზე, ამისთვის დიდი მადლობა ბატონ ზვიად შალამბერიძეს.

უახლოეს პერიოდში ვაპირებ მუნიციპალიტეტებში გავმართო გასვლითი შეხვედრები და ადგილზე გავეცნო მიმდინარე საკითხებს“.

თავის მხრივ რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა ხუთწლიანი მუშაობისთვის მადლობა იმერეთის უკვე ყოფილ სახელმწიფო რწმუნებულს ზვიად შალამბერიძეს გადაუხადა და მას მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

ახალი სასწავლო წელი დაიწყო...
გილოცავთ!

16 სექტემბერს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო დაწესებულებებში ახალი, 2024-2025 სასწავლო წელი დაიწყო.

ახალ სასწავლო წელს ჩვენს სკოლებში პირველად შეადგა ფეხი 280-მა პირველკლასელმა.

„გილოცავთ თითოეულ პედაგოგს, მოსწავლესა და მშობელს ახალი სასწავლო წლის დაწყებას, გისურვებთ თითოეული თქვენგანისათვის ყოფილიყოს ნაყოფიერი და წარმატებით გამორჩეული წელი. განსაკუთრებით ვულოცავთ ამ დღეს პირველკლასელებს, რომლებსაც მუნიციპალიტეტისაგან სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ. ადგილობრივი თვითმმართველობის მიზანია, სრულფასოვანი განათლება მიიღოს ყველა მოსწავლემ.“

სასწავლო წლის დაწყება პედაგოგებს, მოსწავლეებსა და მშობლებს მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ მიულოცა,საკრებულოს თავმჯდომარე-გიორგი ბარათაშვილსა და რესურსცენტრის ხელმძღვანელ-ქეთევან შეყრილაძესთან ერთად.

☞2

გვახსოვდეს აფხაზეთი!
27 სექტემბერი სოხუმის დაცემია დღეა!

შესანიშნავი ორი სასტარტო გამარჯვება

ჩვენმა ფეხბურთელებმა ერთა ლიგის გათამაშებაზე პირველი ორი თამაშიდან ორივე მოიგეს.

მათ თბილისში 4:1 დაამარცხეს ჩეხეთის და ალბანეთში (1:0) იქაური ნაკები!

წინ ბიჭებო!

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“ გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

ზაფხული და შემოდგომის პირველი თვე თერჯოლაში განსაკუთრებით იყო დატვირთული კულტურულ-სპორტული და სხვა მასობრივი ღონისძიებებით.

ამ თემაზე, გაზეთთან ერთად იხილეთ ჩვენი FB გვერდი.

ახალი სასწავლო წელი დაიწყო... გილოცავთ!

ახალი სასწავლო წლის დაწყება მრავალფეროვანი და შინაარსობრივად დატვირთული ღონისძიებებით აღინიშნა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღებში, კერძო და საჯარო სკოლებში.

მშობლების, აღსაზრდელების, მოსწავლე-ახალგაზრდობის, პედაგოგ-აღმზრდელებისა და საერთოდ მუნიციპალიტეტისათვის, ისე როგორც სრულიად საქართველოსთვის ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენის თერჯოლურ ამბებზე უფრო დაწვრილებით ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომრებში მოგითხრობთ. ამჯერად კი გთავაზობთ მოკლე სახელდახელო ინფორმაციას ახალი სასწავლო წლის პირველ დღესთან დაკავშირებით.

მუნიციპალიტეტის პირველი პირები იმყოფებოდნენ ქალაქ თერჯოლის მე-2 საჯარო სკოლაში, სადაც ახალი სასწავლო წლისადმი მიძღვნილ ღონისძიებას დაესწრნენ. თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ღვაწლმოსილი ყოფილი დირექტორები დააჯილდოვეს, ასევე წარადგინეს სკოლის ახალი დირექტორი, ფიქრია დემეტრაშვილი და დირექტორის მოადგილე, თეა სამხარაძე. აქვე გაიხსნა ეროვნული გმირის ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის სამოქალაქო განათლების კაბინეტი.

ხელმძღვანელები ეწვივნენ მესამე საბავშვო ბაღს, ძევრისა და ბარდუბნის პირველ და მეორე ბაღს. სასწავლო პროცესის დაწყება პირადად მიულოცეს ზედა სიმონთის სკოლას-,რომელიც რამოდენიმე დღეში განახლებულ, რეაბილიტირებულ შენობაში გადავა. მუნიციპალიტეტის თვითმაართველოვის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ ძევრის საჯარო სკოლაში, სადაც წარმატებული მოსწავლეებს და პირველკლასელებს სიგელები და კომპიუტერები გადასცეს.

აღსანიშნავია, რომ სოფელ ძევრში ახალი სკოლის მშენებლობა დაიწყო, რომელიც 2025 წელს ჩაბარდება,ასევე აქტიურად მიმდინარეობს ქალაქ თერჯოლის პირველი საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, თერჯოლის მუნიციპალიტეტის ყველა სააღმზდელო დაწესებულებაში იმყოფებოდნენ, რათა პირადად მიელოცათ სასწავლო წლის დაწყება სასკოლო საზოგადოებისათვის.

ალისუბნის ხიდ-ბოგირების აღდგენა დაიწყო

ალისუბნის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიის შედეგად დაზიანებული ორი ხიდის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

მდინარე ჩხარაზე არსებული ხიდების სარეაბილიტაციო სამუშაოებს, შპს „საგო“ ახორციელებს. პროექტი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის გამოყოფილი თანხებით არის დაფინანსებული. პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს ხიდის ბურჯების კაპიტალური გამაგრება და სავალი ნაწილის მოწყობა ლითონის კონსტრუქციებით.

ალისუბანში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები, ამ დღეებში მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ დაათვალიერა.

მონიტორინგზე იმყოფებოდნენ ასევე, მერის პირველი მოადგილე ზვიად ბაზაძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით გოგბერაშვილი და ალისუბნის დეპუტატი ბადრი ბუცხრიკიძე.

დამსახურებული ჯილდო

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მსოფლიო ჩემპიონატის მესამე ადგილოსან პარამკლავჭიდელ გიორგი სვინტრაძეს შეხვდა, გამარჯვება მიულოცა და ფულადი ჯილდო, 6000 ლარი გადასცა.

სოფელ ჭოგნარის მკვიდრი, 19 წლის სპორტსმენი, 15-25 აგვისტოს მოლდოვის დედაქალაქ კიშინიოვში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობდა, სადაც ორივე მკლავში 70 კგ.წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

გიორგი სვინტრაძე ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ, რამდენიმე თვის წინ, ევროპის ჩემპიონატზე მოგებული მესამე ადგილისთვისაც დაჯილდოვდა.

ეწყობა საბავშვო გასართობი სივრცე

ამ დღეებში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილთან ერთად, კვახჭირის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფელ ოდილაურში ბავშვთა გასართობი სკვერის მშენებლობა დაათვალიერა.

მიმდინარე პროექტის ფარგლებში, ოდილაურში 300 $მ^2$ ფართობზე გასართობი სივრცე ეწყობა, სადაც დამონტაჟდება ბავშვთა ატრაქციონები, საქანელები, მაგიდა, სკამები, ნაგვის ურნები.

გასართობი სკვერის რეაბილიტაცია სოფლის მხარდამჭერი პროგრამებისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

ოდილაურში სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ჯამში 70 000 ლარამდე დაიხარჯება.

საქართველოს პარლამენტის მიმდინარე წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის

საქართველოს პარლამენტის მიმდინარე წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მიერ გასატარებელ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ, რომელსაც აქვე გთავაზობთ.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება № გ-29. 2924243001

ქ. თერჯოლა 30.08.2024

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მიერ გასატარებელ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ

საქართველოს პრეზიდენტის 2024 წლის 27 აგვისტოს N 27/08/02 განკარგულებით საპარლამენტო არჩევნები დაინიშნა 2024 წლის 26 ოქტომბერს. შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ თანახმად ევალებათ არჩევნების დანიშვნიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში გამოყონ და გამოაქვეყნონ იმ ადგილებისა და სტენდების ჩამონათვალი, სადაც საარჩევნო სუბიექტებს შეეძლებათ საარჩევნო პლაკატების გაკვრა და გამოფენა, აგრეთვე იმ შენობა–ნაგებობების ნუსხის განსაზღვრა, სადაც საარჩევნო სუბიექტებისათვის შესაძლებელია საარჩევნო ღონისძიებების გამართვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“–ს 45–ე მუხლის მე–8, მე-9 ნაწილების და 46–ე მუხლის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1.

1. 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისათვის საარჩევნო ღონისძიებების გასამართავად გამოიყოს:

ა) ა(ა)იპ — თერჯოლის კულტურის სახლთან არსებული დარბაზი (მისამართი: ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქუჩა ქ. №7). ბ) ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალურ ცენტრთან არსებული დარბაზი (მისამართი: ქ. თერჯოლა, მერაბ კოსტავას ქუჩა ქ. №4).

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატებისა და ბანერების გასაკრავად და გამოსაფენად გამოიყოს შემდეგი ადგილები:

ა) ქ. თერჯოლისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების ტერიტორიაზე არსებული მგზავრთა მოსაცდელები;

ბ) მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული გარე განათების ბოძები;

გ) რუსთაველის ქუჩაზე შუქნიშნიდან ავტოსადგურის მიმართულებით (მარცხენა მხარეს) არსებული კედელი;

3. ბეჭდვითი სააგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს სხვა შენობა–ნაგებობებსა და ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში.

მუხლი 2.

აიკრძალოს საარჩევნო პლაკატებისა და ბანერების გაკვრა თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ:

ა) საკულტო ნაგებობებზე;

ბ) სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოს, პროკურატურის, სამხედრო შენაერთებისა და პოლიციის შენობების, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების, საჯარო სკოლების შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში;

გ) მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების (ა.(ა).ი.პ), რომლებიც ეწევიან სააღმზრდელო და საგანმანათლებლო საქმიანობას, ადმინისტრაციული შენობების კედლებზე;

დ) იმ დაწესებულებების ადმინისტრაციული შენობების კედლებზე, რომლებიც გამოიყენება და დროებით სარგებლობაში გადაეცემათ თერჯოლის №49 საოლქო-საარჩევნო კომისიას - შემდგომში საარჩევნო უბნების განთავსებისათვის.

ე) საგზაო ნიშნებზე.

მუხლი 3.

დაევალოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს უზრუნველყოს, თერჯოლის №49 საოლქო-საარჩევნო კომისიას უსასყიდლოდ, დროებით სარგებლობაში აუქციონის გარეშე გადასცეს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობები და მათში განთავსებული ინვენტარი - შემდგომში საარჩევნო უბნების განთავსებისა და ფუნქციონირების მიზნით. ამავდროულად მერია ვალდებულია დაფაროს გადაცემული შენობა-ნაგებობ(ებ)ის კომუნალური ხარჯები.

მუხლი 4.

განკარგულება გადაეგზავნოს თერჯოლის №49 საოლქო-საარჩევნო კომისიას სახელმძღვანელოდ და ცესკოს - ვებ გვერდზე გამოქვეყნებისათვის და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 5.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს ამ განკარგულების გამოქვეყნება ვებ-გვერდზე და ადგილობრივ პრესაში.

მუხლი 6.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. №7).

მუხლი 7.

განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

ქეთევან შეყრილაძე—ეს წელიც კვლავ არაერთ წარმატებას და გამარჯვებას მოგვიტანს

უფლის ნებით, 16 სექტემბერს კიდევ ერთი ახალი სასწავლო წლის დაწყების მაუწყებელმა ზარმა დარეკა და სხვებთან ერთად, სკოლების მერხებს ჩვენი მუნიციპალიტეტის 3745 მოსწავლე მიუჯდა. აქედან 280 პირველკლასელია.

სექტემბერს ყოველთვის მოაქვს სიახლეები, განსაკუთრებით სასკოლო ცხოვრებაში... ამჯერადაც, მზადება ახალი სასწავლო წლისათვის კარგახანია დავიწყეთ...

სკოლებში შეტანილია სახელმძღვანელოები და რვეულები, პირველკლასელთა ბუკები, კლასის დამრიგებელთა კომპიუტერები, სხვა საჭირო კომპიუტერული ტექნიკა თუ ჰიგიენური საშუალებები.

მუნიციპალიტეტში, დღეის მდგომარეობით, 7 ავტორიზებული სკოლაა (თერჯოლის №2, სიქთარვის, რუფოთის, ჩხარის №1, ჩხარის №2, ქვედა სიმონეთის №1 და ,,მზეკაბანი - 2007“) და კიდევ 4 (ბარდუბანი, გოდოგანი, ზედა სიმონეთი და ნაგარევი) ემზადება ამ სტატუსის მოსაპოვებლად.

სკოლების ავტორიზაციისათვის ერთ-ერთი მთავარი პირობა სკოლის ინფრასტრუქტურული მდგომარეობაა. სამწუხაროდ, ეს პროცესები ჯერ კიდევ ნელა მიმდინარეობს, თუმც, აქტიურია სარეაბილიტაციო სამუშაოები ქალაქის №1 საჯარო სკოლაში, დღედღეზე ველოდებით ამ პროცესის დაწყებას ღვანკითში.

სასწავლო პროცესს ჩვენს მუნიციპალიტეტში 816 თანამშრომელი ემსახურება, მათგან 608 მასწავლებელია, რომლებიც სრული პასუხისმგებლობით ეკიდებიან მომავალი თაობის სწავლა-განათლების საქმეს.

— ახალი სასწავლო წელი გვპირდება, რომ საინტერესო იქნება, მანამდე კი გასულს გადავავლოთ თვალი.

— საბაზო საფეხური წარმატებით დაასრულა და საჩუქრად ლეპტოპი დაიმსახურა 56 მოსწავლემ.

— სკოლის საშუალო საფეხური წარმატებით 240 ახალგაზრდამ დაძლია, აქედან, 67 მედალოსანია.

— ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირებული თითქმის ყველა კურსდამთავრებული სტუდენტი გახდა!

— მათ შორის 36 გრანტის მფლობელია:

— 100% გრანტით - 2

— 70% გრანტით - 9

— 50% გრანტით - 25

სწავლას და განათლებას ჩვენს მუნიციპალიტეტში ყოველთვის ჰქონდა მხარდაჭერა და აღიარება. უკვე წლებია, მედალოსან კურსდამთავრებულებს ფულადი საჩუქარი გადაეცემათ. შარშან და წელს კი ჩვენს წარმატებულ, გრანტოსნებს მერმა, ბატონმა მანუჩარ რობაქიძემ განსაკუთრებული სიურპრიზი მოუწყო. 100% - იანი გრანტის მფლობელები - 500 ლარით, 70% - იანები 400, ხოლო 50% - იანები 300 ლარით დასაჩუქრდებიან.

მუნიციპალიტეტის სკოლები აქტიურად არიან ჩართული იმ პროექტებსა და პროგრამებში, რომელსაც ქვეყნის მასშტაბით განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ახორციელებს.

უკვე ტრადიციად იქცა საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ განხორციელებული პროექტებიც, რომელთაგან ერთი—,,დედამიწა ჩვენი სახლია“, გასულმა სასწავლო წელმა მიითვალა. დაწვრილებით მასზე აქ აღარ შევჩერდებით, უბრალოდ ვიტყვით, რომ სამომავლოდ ახალი პროექტი უკვე მზადების პროცესშია.

ვფიქრობთ, რომ ახალი სასწავლო წლის პირველი დღეები ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც პირველკლასელებისა და მათი მშობლებისთვისაა.

როგორც განათლების სპეციალისტები ამბობენ, პირველკლასელის სკოლასთან ადაპტაციის პერიოდი ორი კვირიდან ნახევარ წლამდე გრძელდება. ეს პერიოდი განსაზღვრავს მოსწავლის წარმატებასა თუ წარუმატებლობას მომავალში.

გამომდინარე აქედან, ალბათ, საინტერესოა, თვალი გადავავლოთ USAID - საბაზისო განათლების პროგრამის რეკომენდაციებს, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ ბავშვებისათვის მშობლებს.

— დაეხმარეთ დადებითი განწყობის შექმნაში (ესაუბრეთ სკოლის შესახებ, ახალი მეგობრების შეძენის შესაძლებლობაზე...)

— დაეხმარეთ სკოლის გაცნობაში (ესტუმრეთ სკოლას, დაათვალიერებინეთ, ასწავლეთ სად რაა განლაგებული, აჩვენეთ საკლასო ოთახი, წინასწარ შეახვედრეთ მასწავლებელს)

— დაეხმარეთ რუტინის ჩამოყალიბებაში, შეაჩვიეთ ახალ რეჟიმს - მოუწესრიგეთ ძილი, შეუდგინეთ დღის განაწესი იმგვარად, რომ სკოლისთვის მზადება ბავშვისთვის სტრესული არ იყოს.

— დაეხმარეთ დამოუკიდებლობაში (მიაჩვიეთ თავად ჩაიცვას და გაიხადოს, ჩაალაგოს და მოაწესრიგოს ჩანთა, პირადი ნივთები)

— დაეხმარეთ სოციოემოციური უნარების ჩამოყალიბებაში (ესაუბრეთ თავაზიანობაზე, თანაგრძნობასა და მეგობრობაზე)

— დაეხმარეთ კითხვისა და მათემატიკური უნარების განაფვაში (წაუკითხეთ ხმამაღლა, იმსჯელეთ წაკითხულის შესახებ, ითამაშეთ ციფრებით და მარტივი მათემატიკური მოქმედებებით).

* * *

საგანმანათლებლო რესურსცენტრი სრულიად სასკოლო საზოგადოებას კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალ სასწავლო წელს, რომელიც, ვფიქრობთ, კვლავაც არაერთ წარმატებას და გამარჯვებას მოგვიტანს.

მაია თორთლაძე—ჩვენი ხედვა იქნება ამბიციური, მაგრამ რეალური

ახალი სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღებში დასაქმებულ ყველა თანამშრომელს, აღსაზრდელებს, მათ მშობლებს.

ჩვენ კარგად გვაქვს გათავისებული, რომ ბავშვი უნდა იზრდებოდეს სიყვარულით სავსე სტაბილურ გარემოში, სადაც მათ გვერდით იქნებიან ადამიანები, ვისაც ბავშვი ენდობა და ვინც ბავშვის საჭიროებებსა და ემოციებს ადეკვატურად პასუხობს. ასეთი გარემო დახვდებათ ბავშვებს საბავშვო ბაგა-ბაღების 54 სააღმზრდელო ჯგუფში.

,,ადრეულ და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საბავშვო ბაგა-ბაღები ამჟამად არის გარდამავალ პერიოდში და ავტორიზაციის მოსამზადებელ ეტაპზე. მთელი ქვეყნის მასშტაბით დაწყებული ეს პროცესი საბავშვო ბაგა-ბაღების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით დიდ პასუხისმგებლობას და ძალისხმევას მოითხოვს სისტემის დირექტორის, პედაგოგიური პერსონალის და დამხმარე პერსონალის მხრიდან.

ცვლილებები, რომლებიც განვითარებისათვის არის აუცილებელი, კარგი დაგეგმვით და სისტემური მუშაობით იქნება რეალიზებული. ამ მხრივ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მთელი რიგი მხარდამჭერი სერვისები ხორციელდება წლების განმავლობაში.

საბავშვო ბაგა-ბაღების 2024 წლის თვითშეფასების ანალიტიკის შედეგების მიხედვით, 2025 წელს ჩვენი მუნიციპალიტეტის 6 საბავშვო ბაგა-ბაღი: თერჯოლის № 3, ძევრის, გოგნის, ზ. ალისუბნის, საზანოს და ეწრის ბაღები გაივლიან ავტორიზაციას.

უკვე ტრადიციად დამკვიდრდა ახალი სასწავლო წელი ახალი საბავშვო ბაღით. ასეა წელსაც—სექტემბრის ბოლოს გაიხსნება ახალი ორ ჯგუფიანი თანამედროვე სტანდარტების მიხედვით აშენებული საბავშვო ბაგა-ბაღი სოფელ ძევრში. ბაღი, რომელიც დაამშვენებს სოფლის ცენტრს და დიდ სიხარულს მოუტანს იქ მცხოვრებ ადამიანებს.

მუნიციპალური განვითარების ფონდიდან ბაღის მშენებლობაზე დაიხარჯა 1 250 000 ლარი, 70 000 ლარი კი დაიხარჯა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად.

ახალ გარემოში იქნებიან ეწრის საბავშვო ბაგა-ბაღის აღსაზრდელები. ბაგა-ბაღს ჩაუტარდა რეალიბიტაცია და დამატებით იმუშავებს 2-3 წლიანთა ასაკობრივი ჯგუფი. უნდა ითქვას, რომ ამ სოფლის თხოვნით თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წინაშე წამოჭრილი პრობლემა გადაჭრილია.

მშობელთა, თანამშრომელთა სახელით მადლობა ხელისუფლებას ასეთი პროექტების დაფინანსებისთვის, რომელიც 63 000 ლარი დაჯდა. ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქვ. ალისუბნის, ზედა სიმონეთის, ჩხარის, ბარდუბნის № 1 საბავშვო ბაგა-ბაღის ჯგუფებს. ამ მიმართულებით იხარჯება 60 000 ლარი.

132 000 ლარი დაიხარჯა ძევრის და სხვა საბავშვო ბაგა-ბაღების ინვენტარით აღჭურვაზე. 54 სააღმზრდელო ჯგუფი მრავალფეროვანი, ეკოლოგიურად სუფთა სათამაშოებით მომარაგდა. ყველა საბავშვო ბაგა-ბაღი უზრუნველყოფილია კომპიუტერებით და ქსეროქსის აპარატებით.

ა(ა) იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპარული ცენტრი და მის დაქვემდებარებაში მყოფი 26 საბავშვო ბაგა-ბაღის წარმომადგენლები ამჟამად მუშაობენ ავტორიზაციის პირველი სტანდარტიდან გამომდინარე მისიის, ხედვისა და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტაციის და 5 წლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავებაზე.

ჩვენი „ხედვა“ იქნება ამბიციური, მაგრამ ამავე დროს რეალურიც. ,,მისია“—კი საბავშვო ბაღის ის სავიზიტო ბარათი გახდება, რომელიც ადგილობრივ თემში მის როლს განსაზღვრავს. ,,ღირებულება“—კი სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში თანასწორი, სამართლიანი და პოზიტიური გარემოს უზრუნველყოფაა. მაღალი ხარისხის სკოლამდელი განათლება კი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ბავშვებისათვის, არამედ პოზიტიური შედეგების მომტანია საზოგადოებისა და სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიური განვითარებისათვის.

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

მოტივაცია ასეთია: გააგრძელონ და განავითარონ წარმატებული სკოლის ტრადიციები

ახალ 2024-2025 სასწავლო წელს მუნიციპალურ საგანმანათლებლო სისტემას კიდევ შვიდი ახლადარჩეული დირექტორი შეემატა, მათ შორის 3 სკოლა ახალი კადრით შეხვდა. ასე მოხდა ქ. თერჯოლის №2 საჯარო სკოლაშიც, რომელსაც ახლადარჩეული დირექტორი ქალბატონი ფიქრია დემეტრაშვილი უხელმძღვანელებს.

აღსანიშნავია, ისიც, რომ ამ სკოლაში ახალია დირექტორის მოადგილეც.

რა გზა გამოიარეს, რა გამოცდილება დააგროვეს და როგორია მათი ხედვები და გეგმები ახალ პოზიციაზე ისინი „თერჯოლას“ მკითხველებს თავად მოუყვებიან.

ფიქრია დემეტრაშვილი, ქ. თერჯოლის №2 საჯარო სკოლის დირექტორი: „დავიბადე 1986 წლის 13 ივნისს, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ შაშიანში. 2003 წელს, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გავაგრძელე თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2007 წელს დავამთავრე ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერების ფაკულტეტი ფიზიკის სპეციალობით. 2008 წელს სწავლა გავაგრძელე სსიპ კოლეჯ ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიაში, რომელიც 2010 წელს დავასრულე, ასევე მონაწილეობას ვიღებდი უამრავ ტრენინგსა და სასწავლო კურსში.

2011 წელს შევქმენი ოჯახი, მყავს მეუღლე—ვაჟა ქოჩიაშვილი და სამი შვილი ლიკა, საბა და გიორგი. ოჯახი ჩემი განძია, ჩემს წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის ოჯახის მხარდაჭერას, აქვე მადლობას გადავუხდი ჩემს მუდამ მხარდამჭერ დედამთილს, ქალბატონ ნინოს, ის რომ არა, ალბათ, ამდენს ვერ მივაღწევდი.

2008-2009 წლებში ვმუშაობდი: კერძო სკოლა „განათლებაში“ ინფორმატიკის მასწავლებლად, კლასის კურატორად;

2014-2015 წლებში თერჯოლის №49 საარჩევნო ოლქში ბუღალტრის თანამდებობაზე;

2016 წლიდან 2022 წლამდე ვმუშაობდი მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალურ ცენტრში საქმის წარმოების მენეჯერად. უნდა ითქვას, რომ ჩემი მუშაობის დიდი გამოცდილება ამ ცენტრიდან მოდის, იქ გატარებული წლები ჩემთვის ძალიან ძვირფასია.

2021-2022 სასწავლო წელს მუშაობა დავიწყე ქალაქ თერჯოლის №2 საჯარო სკოლაში საინფორმაციო მენეჯერის თანამდებობაზე, ჩემთვის დიდი გამოწვევა იყო ამ თანამდებობაზე დანიშვნა. ყოველთვის ვიყავი მოტივირებული დამემკვიდრებია თავი განათლების სისტემაში, ამ შემოთავაზებით, ვფიქრობ რომ გამიმართლა და აუცილებლად გავამართლებ ჩემი საკუთარი თავის იმედებს. აქ დამხვდა საუკეთესო კოლექტივი, თანამშრომლური და მიმღებლობითი გარემოთი, რომელიც სიყვარულს და სითბოს ასხივებს.

2022-2023 სასწავლო წელს დავინიშნე ამავე სკოლის დირექტორის მოადგილედ (სასწავლო ნაწილად). პირველივე დღიდან მივხვდი, რომ სწავლა-სწავლების პროცესი უფრო საინტერესო იყო, რადგან უამრავი აქტივობით და სიახლეებით იყო დატვირთული ყოველი დღე. ყოველ დღეს უფრო მეტი ენერგიით მივდიოდი, რომ უფრო მეტი დატვირთვით მემუშავა, მესწავლა და გამეგო, სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მოსწავლეებთან მუშაობა უდიდეს სიხარულს მანიჭებდა.

როდესაც დადგა საკითხი, რომ დირექტორის პოზიციისათვის გამოცდაზე უნდა გავსულიყავი, არ შემიძლია არ აღვნიშნო თითოეული ჩემი თანამშრომლის მხარდაჭერა, საზოგადოების მხარდაჭერა, მადლობას ვუხდი მათ ამ გაბედული ნაბიჯის გადადგმაში, რომ დამეხმარნენ.

2024 წლის დირექტორის სერთიფიცირების გამოცდის ჩაბარების, გასაუბრების გავლის და სამეურვეო საბჭოსთან წარდგინების შემდეგ 2024 წლის 18 ივნისს დავინიშნე სკოლის დირექტორად.

სკოლის დირექტორის ხედვა უნდა ეფუძნებოდეს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ღირებულებებს, მისაღწევ შედეგებს. როგორც წარმატებაზე ორიენტირებული სკოლის დირექტორი, ჩემი მიზანია თერჯოლის №2 საჯარო სკოლაში ტრადიციისამებრ გაგრძელდეს შემოქმედებითი, ინკლუზიური გარემო, სადაც ყველა მოსწავლეს მიეცემა შესაძლებლობა გამოიყენოს სრული პოტენციალი. მე ვხედავ ჩვენს სკოლას, როგორც ინოვაციების და მხარდაჭერის კერას, სადაც პედაგოგები აღჭურვილია იმ ინსტრუმენტებითა და რესურსებით, რაც მათ სჭირდებათ, რათა შთააგონონ და აიყოლიონ თავიანთი მოსწავლეები.

ჩემი მიზანია ხელი შევუწყო თანამშრომლობის მუდმივად გაუმჯობესების კულტურას, სადაც ღია კომუნიკაცია და საზოგადოების ჩართულობა განაპირობებს ჩვენს საერთო წარმატებას. ჩემს კოლეგებთან ერთად, როგორც სკოლის ხელმძღვანელი, მიზნად ვისახავ სკოლაში ისეთი სასწავლო გარემოს შექმნას, სადაც ყოველი მიღწევა არის ნაბიჯი უფრო დიდი შესაძლებლობისაკენ.

სკოლის დირექტორი წამყვან როლს ასრულებს პოზიტიური სასკოლო კულტურის ფორმირებაში, განვითარებასა და შენარჩუნებაში, კარგი მმართველიც უნდა იყო, კარგი მასწავლებელიც, კარგი შემფასებელიც და კარგი დამფასებელიც. ამ უკანასკნელს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ აღიარო თითოეული მოსწავლისა და მასწავლებლის შრომა და გქონდეს ამის თქმის უნარი. მნიშვნელოვანია აღმოჩენის უნარიც. დირექტორმა უნდა აღმოაჩინოს მოსწავლესა და თანამშრომელში შესაძლებლობები, რომ სკოლა ამ შესაძლებლობების განვითარების ასპარეზად აქციოს.

სკოლის მართვისას ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ორიენტირი მოსწავლეების ინტერესები და საჭიროებები უნდა იყო. ჩემი როგორც სკოლის დირექტორის სტატეგიაა ჩვენს სკოლაში მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული შემოქმედებით პროცესში, მივცეთ არაფორმალური განათლება, გვქონდეს მშობლებთან ურთიერთობის მრავალფეროვანი ფორმები და მათი ჩართულობით აღმზრდელობითი პროცესი უფრო საინტერესო გავხადოთ; სასკოლო საზოგადოებასთან ერთად განვავითაროთ სასკოლო კულტურა და მოსწავლეების ჩართულობით და მათი ინტერესების გათვალისწინებით ავაგოთ სასკოლო ცხოვრების გეგმა, რაც მეტ პასუხისმგებლობას იგრძნობენ სკოლის საქმიანობის მიმართ, ეს შესაძლებლობას მოგვცემს, ყველა მათგანი იყოს რეალიზებული.

მინდა გავიხსენო ალბერტ აინშტაინის სიტყვები: „ფანტაზია უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ცოდნა, ფანტაზია ყველაფერია, ეს არის მომავლის მოვლენების წინასწარი ხედვის უნარი. მასწავლებლის ხელოვნებაში მთავარია სიხარულის გაღვივება ახლის შექმნისა და შემეცნებისადმი“.

მინდა გამოვიყენო შანსი და ჩემს მიმართ გამოჩენილი ყურადღებისათვის მადლობა გადავუხადო ღვაწლმოსილ პედაგოგს, რუსუდან უსუფაშვილს, რომელიც წლების განმავლობაში თავდაუზოგავად ხელმძღვანელობდა სკოლას. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ის არის ჩემი ცხოვრების მასწავლებელი...

მადლობას ვუხდი აგრეთვე ყველა მხარდამჭერსა და გულშემატკივარს“.

თეა სამხარაძე, ქ. თერჯოლის №2 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე: „დავიბადე 1990 წლის 16 აპრილს ქალაქ ზესტაფონში, 2007 წელს დავამთავრე კერძო სკოლა „ანაბასისი“, იმავე წელს ჩავაბარე ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, რომელიც დავასრულე 2011 წელს.

სასწავლებლის დასრულების შემდეგ შევქმენი ოჯახი, ბედმა პედაგოგის ოჯახში მიმიყვანა. მყავს მეუღლე, ბესო დოლაკიძე, შვილები ბექა და მარიამი.

ბავშვობაში ხშირად მიფიქრია მასწავლებლობაზე, თუმცა დიდი გავლენა ჩემმა დედამთილმა, ქალბატონმა დალი მახათაძემ მოახდინა, მესმოდა როგორ სიყვარულით იხსენებდნენ, პატივს სცემდნენ მოსწავლეები, ის ნამდვილად ღირსეული პედაგოგი იყო, რომელიც 35 წელი ემსახურა მომავალი თაობის აღზრდა-განათლებას.

2015 წელს მუშაობა დავიწყე ქ. თერჯოლის კერძო სკოლა „მზეკაბანი 2007“-ში. იმავე წელს ჩავაბარე მასწავლებლის სასერთიფიკატო გამოცდა და მომენიჭა უფროსი მასწავლებლის სტატუსი. პირველივე დღიდან მივხვდი, რომ მასწავლებლობა ნამდვილად ჩემი მოწოდებაა. სწავლა-სწავლების პროცესი ძალიან სასიამოვნო და საინტერესო აქტივობებით იყო დატვირთული, რაც მე მაბედნიერებდა, აქ დამხვდა საუკეთესო კოლექტივი სიკეთით, სიყვარულით, ერთგულებით სავსე ადამიანები და საოცარი ხელმძღვანელი ქალბატონი ნინელი გვენეტაძე, რომლის დიდი დამსახურებაა ჩემი წარმატება.

ცხოვრება უამრავი სიახლითა და გამოწვევებითაა სავსე, როცა ქ. თერჯოლის №2 საჯარო სკოლის სასწავლო ნაწილობა შემომთავაზეს სერიოზულად დავფიქრდი ვიდრე დავთანხმდებოდი, რადგან მიმაჩნია, რომ ეს არის დიდი პასუხისმგებლობა და მოვალეობა, რომელსაც ძალისხმევა, შრომა და გამოცდილება სჭირდება, მით უფრო, როცა ოჯახის ყველა წევრმა ამ სკოლაში დატოვა თავისი კვალი. სკოლის გამოცდილი, წარმატებული და ერთ მუშტად შეკრული გუნდი მაძლევს იმედს, რომ მათთან ადაპტირება-თანამშრომლობა იქნება შედეგიანი.

ჩემი როგორც სასწავლო ნაწილის წარმატებული საქმიანობა პირდაპირპროპორციულად იქნება დაკავშირებული სკოლის კათედრებისა და მათი ხელმძღვანელების საქმიანობასთან.

ეფექტური ლიდერობა ვფიქრობ იწყება სასკოლო ხედვის ფორმირებით, რომელიც მაღალ სტანდარტებსა და ყველა მოსწავლის წარმატებაზეა ორიენტირებული. სწორი სასკოლო ხედვა უზრუნველყოფს იმ მიზნების მიღწევას, რომელსაც ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები ჰქვია. ჩემი მთავარი მიზანი იქნება, რომ შევქმნათ გარემო, სადაც თითოეული მოსწავლე შეიგრძნობს და დაინახავს საკუთარი განვითარების პროგრესს, რაც მიიღწევა თანადგომით, პასუხისმგებლობით, თანამშრომლობით, სიყვარულითა და ერთგულებით.

მჯერა, რომ „ერთ წიგნს, ერთ კალამს, ერთ ბავშვს და ერთ მასწავლებელს შეუძლია შეცვალოს სამყარო“.

„თერჯოლა“ ულოცავს №2 საჯარო სკოლის ხელმძღვანელობას ახალი სასწავლო წლის თანამდებობრივად ახალ პოზიციებზე დაწყებას, წარმატებებს და ბედნიერ სასწავლო წელს ვუსურვებს მათ, სკოლის პედკოლექტივსა და მოსწავლე-ახალგაზრდობას.

მზია ცქიფურიშვილი

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

შორენა გეწაძე-„მასწავლებლობა არის ერთადერთი პროფესია, რომელიც ქმნის ყველა სხვა პროფესიას“...

თქვა ზედა საზანოს საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელმა შორენა გეწაძემ და სკოტ ჰეიდენის ამ სიტყვებით ზუსტად გამოხატა აზრი მასწავლებლის დანიშნულებაზე.

საზანოს სკოლაში დაიწყო მან მასწავლებლობა 1998 წელს, შორენას მუშაობას როგორც თვითონ ამბობს, თან სდევს ცნობილი სიტყვები მასწავლებლის სამი სიყვარულის შესახებ—სწავლის სიყვარული, მოსწავლის სიყვარული და პირველი ორი სიყვარულის შეკრების სიყვარული“. სწორედ სწავლისა და მოსწავლის სიყვარულია მისი დიდი მოტივაცია, რაც აძლიერებს და მხნეობას მატებს ყოველ გაკვეთილზე. შორენამ წარჩინებით, წითელ დიპლომზე დაამთავრა ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის ფაკულტეტი და მიენიჭა დაწყებითი კლასების მასწავლებლის კვალიფიკაცია.

2013-2023 წლებში იყო უფროსი მასწავლებელი, ორივე გამოცდა ჩაბარებული აქვს 10 კრედიტ ქულაზე.

მიზანდასახულს, ენერგიულს, მოტივირებულს მუდამ უხდება ზრუნვა საგნის მაღალ დონეზე სწავლებისათვის და ზოგადად სწავლების ხარისხის ამაღლებაზე. მისი მთავარი მიზანია საკუთარი და კოლეგების პროფესიული განვითარება. არის კრიტიკული მეგობარი, კოლეგები აფასებენ მის მიერ გაცემულ განმავითარებელ შეფასებას, წლების განმავლობაში იყო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ფასილიტატორი ახალი სქემის ფარგლებში და დიდი როლი მიუძღვის კოლეგების სტატუსის ამაღლებაში, ჩართულია ქართველ და ევროპელ მასწავლებელთა დამეგობრების პროგრამაში და არის მასწავლებელთა საერთაშორისო მეგობრობის წევრი.

აქტიურად თანამშრომლობდა ინოვაციურ და ონლაინ საგანმანათლებლო პროექტთან. პროექტის ფარგლებში თავად იყო ტესტების შემქმნელი და აქტიურად ჰყავდა ჩაბმული სადამრიგებლო კლასები, იყო უპირობო ლიდერი. მისმა სადამრიგებლო კლასმა მრავალჯერ მოიპოვა „სუპერ კლასის“ და „მომავლის კლასის“ ტიტული. მისი აქტიურობით სკოლა ბევრჯერ მოხვდა ლიდერი სკოლების ათეულში, აქტიურ თანამშრომლობას ეწეოდა მათემატიკურ კონკურს „ევერესტის“ საგანმანათლებლო ჯგუფთან და „კინგსის“ ქართულისა და მათემატიკის საოლიმპიადო გუნდებთან, ჰყავს წარმატებული მოსწავლეები, რომლებიც მრავალჯერ დაჯილდოვდნენ სოლიდური პრიზებით და ფულადი ჯილდოებით. შორენა გეწაძე წლების მანძილზე ჩართული იყო იუსაიდის საბაზისო პროგრამაში როგორც ლიდერი მასწავლებელი. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, გამოცდილების გაზიარების მიზნით, პედაგოგებთან მართავდა სამუშაო შეხვედრებს და სწავლების ახალ, თანამედროვე მეთოდებს აქტიურად ნერგავდა საგაკვეთილო პროცესში. ჩართული იყო ახალი სკოლის მოდელში და განხორციელებული აქვს არაერთი საინტერესო აქტივობა.

დაჯილდოებულია მრავალი სიგელით და მადლობის სიტყვით, აქვს სხვადასხვა საგანმანათლებლო ტრენინგის სერთიფიკატი.

2022 წელი განსაკუთრებული აღმოჩნდა. შორენა გეწაძემ ჩააბარა სტატუსის ასამაღლებელი წამყვან-მენტორის გამოცდა, გადალახა მენტორის ზღვარი, 56 ქულით და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს, მასწავლებლის პრაქტიკული ნაწილის შეფასების მიზნით, წარუდგინა სავალდებულო დოკუმენტაცია და მიენიჭა მენტორი მასწავლებლის სტატუსი.

შორენა საკუთარ პროფესიაზე შეყვარებული ადამიანია, უყვარს ბავშვები და ყველა ასაკის მოსწავლესთან პოზიტიურ კომუნიკაციას ამყარებს. ბევრს მუშაობს სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებზე, არაფორმალური განათლების კუთხით ატარებს საინტერესო ღონისძიებებს, რაც მოსწონთ ბავშვებს და მშობლებსაც, რადგან ისინი დარწმუნებულები არიან, რომ ეს აქტივობები მათ შვილებს განუვითარებს 21-ე საუკუნის იმ უნარებს, რაც პატარებს წარმატების მიღწევაში დაეხმარებათ. შორენას გაკვეთილი მუდამ ხმაურიანი და აქტიურია, ეს ხმაური მუდამ საქმიანია და მოსწავლეთა ინტერესებს ემსახურება. პატარებს მოსწონთ საქმიანი გარემო და მოტივირებულნი არიან ხარისხიანი ცოდნის დაუფლებაზე. საგაკვეთილო პროცესში იყენებს მრავალ თვალსაჩინო რესურს, მათ შორის ელექტრონულ, პატარების ხელით დამზადებულ რესურსებს.

სკოლები, თვით შორენაც, მრავალი გამოწვევის წინაშე აღმოჩენილა, მაგრამ ყოველთვის ართმევდა თავს სირთულეებს. ათასნაირი სახელმძღვანელო, კომპიუტერები, ახალი საგანი, მაგრამ მან თავი გაართვა ამ სიძნელეებს, არ ქრება სიყვარული იმისა, რომ ფეხი აუწყოს თანამედროვეობას. მისი სიტყვებია „მეც ვსწავლობ მოსწავლეებთან ერთად და ეს სტიმულია. ის ორლესული მახვილი, რომელსაც განათლება და მომავალი თაობის აღზრდა ჰქვია, ჩემს ხელთაა, ურყევად ვიქნები მყარად მდგარი განათლების, შესაბამისად ჩემი ქვეყნის სადარაჯოზე“.

სკოლა და ოჯახი შორენასათვის ყველაფერია, ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი, მე-11 კლასის მოსწავლე, მოსწავლეებისათვის და შვილისათვის თანაბრად შრომობს, ბედნიერია და ამაყი, რომ თითოეული მათგანი უყვარს და უნდა ისინი ისეთივე წარმატებული და ჯანმრთელი იყოს, როგორც მისი შვილი—ბექა.

სწორედ ასეთი მასწავლებლები უნდა იდგნენ ახალგაზრდობის აღზრდის სამსახურში.

მუდმივი ზრუნვა პროფესიულ განვითარებაზე

„უნდა აუწყო ფეხი სიძნელეებს და არასოდეს მოდუნდე“—ეს მენტორი მასწავლებლის თეა დოლაკიძის დევიზია და, როგორც თვითონ ამბობს ამ დევიზს არ გადაუხვევს.

თეა პედაგოგის ოჯახში გაიზარდა და სხვა პროფესიაზე არც უფიქრია. რთული დარგი აირჩია—ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის—ფიზიკა-ინფორმატიკის, გამოთვლითი კომპიუტერული ტექნიკის სპეციალისტი გახდა. პირველი სამუშაო დღე, როგორც პედაგოგს, კერძო სკოლა „მზეკაბანში“ ჰქონდა. მე-18 წელს ითვლის თეას „მზეკაბანელობა“, ამჟამად კიდევ ორ სკოლაში რუფოთსა და ეწრის საჯარო სკოლებში აზიარებს მოსწავლეებს რთულ დარგს და მეცნიერებას—კომპიუტერულ ტექნოლოგიებს. თეა ამბობს, რომ მას, როგორც მასწავლებელს არ აქვს უფლება მუდამ არ ზრუნავდეს პროფესიულ განვითარებაზე, ამიტომ ესწრება ტრენინგებს, ვებინარს და იყენებს მიღებულ ცოდნას გაკვეთილებზე და უზიარებს კოლეგებს. თეა მისულია კარიერული წინსვლის ბოლო საფეხურამდე, რაც არ არის ადვილი. ეტაპობრივად გამოცდების ჩაბარებას, ყველა წარმატებას, რისთვისაც მიუღწევია, უმადლის სასკოლო საზოგადოებას, კოლეგებს, ოჯახს, მოსწავლეებსაც კი.

2012 წელს ჩააბარა სასერთიფიკაციო გამოცდა პროფესიულ უნარებში, 2015 წელს საგნობრივი გამოცდა, რის შემდეგაც მიენიჭა უფროსი მასწავლებლის სტატუსი, 2018 წელს კრედიტ ქულების დაგროვებას, გარე დაკვირვების გავლის და სკოლის საჭიროების კვლევის განხორციელების შედეგად მიიღო წამყვანი მასწავლებლის სტატუსი. 2022 წელს ჩააბარა გამოცდა მენტორი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად, წარადგინა პროფესიული საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია, მიენიჭა მენტორი მასწავლებლის სტატუსი, იყო კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებით ქოუჩი „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში.

თეა ცდილობს წაახალისოს მოსწავლეთა დამოუკიდებელი აზროვნება, ჩამოუყალიბოს კრიტიკული აზროვნების უნარი, აღზარდოს ისინი თავისუფალ მოქალაქეებად, საამისოდ განხორციელებული აქვს არა ერთი საკლასო, სოციალური თუ სასკოლო პროექტი. მისთვის მნიშვნელოვანია სამაგიდო და სხვადასხვა სახის თამაშების გამოყენება, რაც მოსწავლეს ეხმარება შესასწავლი საკითხების გააზრებასა და დამახსოვრებაში, შესაბამისად იზრდება მათი საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა. უპირატესობას ანიჭებს „საკლასო ოთახის ეზოში გადატანას“ და საინტერესო სახალისო აქტივობას დაგეგმავს, რაც უადვილებს სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. მან კარგად გამოიყენა „მეწარმეობის საფუძვლების“ პედაგოგთა მომზადების ტრენინგი და ეწრის საჯარო სკოლაში ჩამოაყალიბა კლუბი, რითაც ეხმარება მოსწავლეებს სამეწარმეო უნარების განვითარებაში. იგი კარგად იცნობს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სკოლის პედაგოგებს, თანამშრომლობს მათთან და ერთობლივად განახორციელა არაერთი პროექტი, რომლებიც დაჯილდოებულია „ეროვნული ხარისხის ნიშნებით“.

მას გავლილი აქვს საბუნებისმეტყველო საგნების პროგრამის ფარგლებში ციფრული ტექნოლოგიებისა და ელექტროინჟინერიის საფუძვლების ტრენინგები, „მზეკაბანში“ ხელმძღვანელობს კლუბს „ჩხირკედელა“, რომლის ფარგლებში შექმნა საინტერესო პროექტები. სამინისტროს მიერ ორგანიზებულ STEM გამოფენების აქტიური მონაწილეა. დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სასკოლო ცხოვრებაში არაფორმალური ელემენტების შემოტანას, ეს არის აქტივობები, რომელიც მიმართულია 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევებზე, იგი ამაღლებს მოტივაციას, შემოქმედებით აზროვნებას უყალიბებს მოსწავლეს და საინტერესოს ხდის სასკოლო ცხოვრებას. შარშან, რუფოთის საჯარო სკოლაში, კოლეგებთან ერთად მოეწყო საზაფხულო STEM ბანაკი, სადაც შეიკრიბა სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები, იმუშავეს სტემ პროექტებზე, გაეცვნენ სხვადასხვა ელექტრო კომპონენტების მუშაობის პრინციპებს.

თეა მონაწილეობას ღებულობს საერთაშორისო პროექტებში, სადაც სწავლობენ პროგრამირებასა და ტექნოლოგიური პროდუქტების შემუშავებას, მსჯელობენ მათ თემში არსებულ კონკრეტულ პრობლემებზე და მათი გადაჭრის ტექნოლოგიურ გზებზე. წელს მას მოუწია ბათუმელ და თბილისელ გოგონებთან მუშაობა. მისი სურვილია რაც შეიძლება მეტი გოგო წავიდეს ამ მიმართულებით.

თეს დოლაკიძის თქმით, იგი ბედნიერია, რომ „არაერთი ჩემი მოსწავლის მომავალი პროფესია ტექნოლოგიებს უკავშირდება და მჯერა, რომ ეს რიცხვი თანდათან გაიზრდება“.

ბედნიერი მეუღლე და დედაა თეა დოლაკიძე, ღირსეულ ოჯახში გაზრდილმა ღირსეული ოჯახი შექმნა—იგი შსს თერჯოლის რაიონული სამმართველოს დეტექტივ ბესიკ აბულაძესთან ერთად—გურამს, დემეტრეს და ლალიტას ზრდის.

გვერდის ავტორი
ჟუჟუნა ცხადაძე

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“ გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

თერჯოლამ ქართული სიმღერების ფესტივალის ლაურეატებს უმასპინძლა

სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით გამართული კონცერტის ფარგლებში, მსმენელის წინაშე მუსიკალური ფესტივალის „სხვა საქართველო სად არის“ 2024 წლის გამარჯვებულები და ლაურეატები წარსდგნენ, თერჯოლიდან და საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან.

ღონისძიებაზე მოწვეული იყვნენ საპატიო სტუმრები-გამოჩენილი ქართველი მუსიკოსები: ზურაბ მჟავია, ნუგზარ კვაშალი, ილია კევლიშვილი. მუსიკალურ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ასევე ფესტივალის ჟიურის წევრები და მისი დამაარსებელი და ორგანიზატორი მაია ჯამალაშვილი. საათნახევრიანი რეპერტუარის ფარგლებში, ღონისძიებაზე მოსულმა თერჯოლელმა მსმენელებმა სხვადასხვა ჟანრის სამუსიკო ნომრები მოისმინეს.

შემოქმედებითი საღამო თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერით ჩატარდა და მას მოქალაქეებთან ერთად მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძეც დაესწრო.

კეთდება საუბნო გზა...

რგფ-დან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით სოფელ ზედა სიმონეთში საუბნო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში აბჟანდაძეების უბნის საგზაო მონაკვეთზე ეწყობა არმირებული ბეტონის საფარი და სანიაღვრე სისტემა, სამუშაოებს აწარმოებს შპს „გი-ან 2011”.

პროექტით განსაზღვრული სამუშაოების მიმდინარეობა ადგილზე დაათვალიერა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა. საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტის მონიტორინგზე მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებთან დავით გოგბერაშვილსა და ჯემალ ისაკაძესთან და საკრებულოში მერის წარმომადგენელთან, სოსო ჩაფიჩაძესთან ერთად იმყოფებოდა.

შენდება სკოლის ახალი შენობა

მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით, სოფელ ძევრში ახალი სკოლის მშენებლობა დაიწყო. 150 მოსწავლეზე გათვლილი ახალი საგანმანათლებლო დაწესებულების მშენებლობას შპს. „ჯავა+” ახორციელებს. ახალი საჯარო სკოლა 2025 წელს უნდა ჩაბარდეს.

მოჭიდავეები ზრუნვას მორიგი წარმატებით პასუხობენ

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე სოფელ ქვედა სიმონეთის საჭიდაო დარბაზში იმყოფებოდა. მუნიციპალიტეტის მერმა, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილთან ერთად წარმატებული მოჭიდავეები დაჯილდოვა.

ლუკა ბუიღლიშვილი მიმდინარე წელს, საბერძნეთში, გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ასპარეზობდა, სადაც ვერცხლის მედალი მოიპოვა, ხოლო გორში საქართველოს პირველობაზე პირველი ადგილი დაიმსახურა. იური ჩაფიძემ კი ბათუმში გამართულ საქართველოს პირველობაზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო გიგა ჩაფიძე ამავე ტურნირზე მესამე ადგილს დასჯერდა. ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელმა პირებმა გამარჯვებულ სპორტსმენებს მიულოცეს და დიპლომები და ფულადი პრიზები გადასცეს.

აღსანიშნავია, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტში, ქვედა სიმონეთის კეთილმოწყობილი საჭიდაო დარბაზი უკვე მეორე წელია ფუნქციონირებს ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერით, რაც საშუალებას იძლევა სპორტის აღნიშნულ სახეობას, უფასოდ, ათეულობით ადგილობრივი მოსწავლე დაეუფლოს, მწვრთნელ გიგა ჩაფიძის ხელმძღვანელობით. საჭიდაო დარბაზში, ყოველდღიურად 30- ზე მეტი ბავშვი სწავლობს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობის ხელოვნებას.

ახალგაზრდები საქართველოს მომავლიდან

მიმდინარე 2024 წელს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სკოლების საშუალო საფეხური წარმატებით 240 ახალგაზრდამ დაძლია, აქედან, 67 მედალოსანია.

— ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირებული თითქმის ყველა კურსდამთავრებული სტუდენტი გახდა!

— მათ შორის 36 გრანტის მფლობელია:

— 100% გრანტით - 2

— 70% გრანტით - 9

— 50% გრანტით - 25

სახელმწიფო ასპროცენტიანი გრანტის მფლობელები



ვახო პატარიძე— შპს „მზეკაბანი 2007“. ჩაირიცხა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე. ოქროს მედალოსანი.

ანამარია მაჩიტიძე—თერჯოლის №1 საჯარო სკოლა. ჩაირიცხა საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში საინჟინრო ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე. ოქროს მედალოსანი.

ჩვენი გაზეთის მომავალ ნომრებში ასევე გაგაცნობთ 70%-იანი გრანტის მფლობელებს.

იუზა მარუაშვილი



თერჯოლის საზოგადოებას, ოჯახს, „თერჯოლას“ რედაქციას გამოაკლდა ღირსეული პიროვნება, პროფესიონალი ჟურნალისტი, მეგობარი და კოლეგა იუზა მარუაშვილი. იგი ნამდვილად დააკლდა არა მხოლოდ ოჯახს, ცოლ-შვილსა და შვილიშვილებს, არამედ ახლობლებს, კოლეგებს, სრულიად თერჯოლას.

იუზა მარუაშვილი დაიბადა 1947 წელს სოფელ ზედა ალისუბანში, მოსამსახურის ოჯახში. 1961 წელს, თავასის შვიდწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა ქუთაისის ავტომექანიკურ ტექნიკუმში გააგრძელა, 1965 წელს კი მუშაობა დაიწყო ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში.

მუშაობის პარალელურად იგი 1966 წელს ჩაირიცხა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე (საღამოს განყოფილება), რომლის დამთავრების შემდეგ 1971 წელს ბრუნდება მშობლიურ რაიონში და ინიშნება რაიონული არქივის გამგედ, საიდანაც 1973 წელს გაიწვიეს სამხედრო არმიის რიგებში. სავალდებულო-სამხედრო სამსახურის შემდეგ მუშაობას კვლავ აგრძელებს რაიონულ არქივში, ამჯერად უფროსი მეცნიერ-მუშაკის თანამდებობაზე.

იუზა მარუაშვილი სხვადასხვა დროს მუშაობდა თერჯოლის ადგილობრივი რადიომაუწყებლის რედაქტორად, გაზეთ „წინსვლის“ მშრომელთა წერილების განყოფილების გამგედ, რედაქტორის მოადგილედ. გარკვეული წლები პარტიული თანამდებობა ეჭირა, შემდეგ კვლავ „თერჯოლას“ რედაქციაში ბრუნდება და სიცოცხლის ბოლო წუთამდე გაზეთის კორესპოდენტის პოზიციას იკავებს. მისი თბილი თუ მსუსხავი სტრიქონები ემსახურებოდა თერჯოლის მუნიციპალიტეტის წინსვლასა და ადამიანთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას, არსებული პრობლემების დაძლევას და მათთვის იმედიანი განწყობის შექმნას.

ბატონი იუზა სამსახურებრივ საქმიანობასთან ერთად იყო შესანიშნავი ოჯახის თავკაცი, მეუღლე, მამა, ბაბუა.

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა კარგად უთავსებდა ერთმანეთს სწავლასა და შრომას.

მან შეიძლება ითქვას შეუძლებელი შეძლო. ადრეულ ასაკში სიყვარულით დაოჯახებულმა ჩინებულად გაართვა თავი ოჯახის მძიმე ტვირთს, საკუთარი „კერიაც“ მოიწყო, შვილებიც, სამი ვაჟკაცი ზაალი, დავითი და ივანე ცხოვრების თანამგზავრთან, ქალბატონ ლიასთან ერთად ღირსეულ მოქალაქეებად გაუზარდა ქვეყანას. ისინი ახლა თავადაც საქვეყნო სამსახურში არიან და შვილებსაც უზრდიან მამულს...

როგორი ბედნიერი იყო თითოეული შვილიშვილის დაბადებით... ოცნება ავიხდინეო, გვითხრა ჩვენს ბოლო შეხვედრაზე, როცა ოჯახში მიგვიწვია და ვანოს შვილის დაბადება დაგვალოცვინა...

ძვირფასო ძმაო და მეგობარო, პროფესიაშიც საუკეთესო იყავი, ოჯახის თავკაცობაშიც, ძმობასა და მეგობრობაში. ჯერ კიდევ ბავშვობასა და სიჭაბუკეში იძერწებოდა შენი ხასიათი, შრომისმოყვარეობა, მტკიცე ხასიათი შერწყმული იყო შენს მიზანდასახულობასთან... ბედს არ ვემდურიო, იტყოდი ხოლმე, თუმცა შენს თვალებში სიცოცხლის იმედი, სამომავლო ფიქრი და ოცნება არასოდეს ჩამქრალა.

მაგრამ მაინც იმძლავრა ავადმყოფობამ და მოუსწრაფა გარდაცვალება. უმალ მივედით ოჯახში, მივუსამძიმრეთ მეუღლეს, შვილებს, ძმას, შემდეგ კი, რადგან გაზეთი უკვე იბეჭდებოდა, რედაქტორმა ჩვენთან ერთად სახელდახელოდ შეადგინა გაზეთ „თერჯოლას“ ფეისბუქგვერდის მოკლე პოსტი, რომელსაც გამოქვეყნებიდან ძალიან მოკლე დროში, ათეულობით გულშემატკივრის გულდაწყვეტილი გამოხმაურება და სამძიმარი მოჰყვა **(„თერჯოლის“ ფეისბუქგვერდის ეს პოსტი იხ. ქვემოთ).**

ვალმოხდილი წავიდა

ნათელა მაჭავარიანი
1928-2024

წელს, გაზაფხულზე, ოთხმოცდათექვსმეტი წელი შეუსრულდა. ისე მხნედ და თითქოს ჯანგაუტეხლად გამოიყურებოდა ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი ხუთ თვეში თუ ყველაფერი დასრულდებოდა. თავადაც იმედიანად იყო. „შვილიშვილები 100 წლის იუბილეზე საუბრობენო“— ღიმილით გვითხრა, მიპატიჟებაც დაგვიანონსა მე და ამირან სოფრომაძეს, როცა დაბადების დღის მისალოცად ვესტუმრეთ...

წავიდა ვალმოხდილი. ორმოცი წელი პედაგოგობდა თავისივე სოფლის, რუფოთის სკოლაში, აქ იყო მისი მშობლიური კერა, ოჯახიც იმავე სოფელში შექმნა. აქ გაატარა ბავშვობაც, ახალგაზრდობაც, შემდგომი ცხოვრებაც და აქვე აღესრულა—მშვიდად, ლამაზად შეუერთდა მარადისობას.

მახსენდება მისი გახარებული სახე, საოცარი მეხსიერება, მხედველობა... რამდენი რამ გაიხსენა: ომისდროინდელი ბავშვობა, დუხჭირი ცხოვრების მძიმე წლები, სტუდენტობა, შემდეგ პედაგოგიური მოღვაწეობა... ყველა კოლეგა-პედაგოგი და ყოფილი მოსწავლეებიც კი გაიხსენა.

უფალს მადლობა, რომ ბოლო დაბადების დღე, ნათელა მასწავლებელს ჩვენი მისვლით და მილოცვით გავულამაზეთ.

სამწუხაროა, როცა ადამიანები მიდიან ამქვეყნიდან და ზეციურ სასუფეველში იდებენ ბინას. სამწუხაროა, რომ მასთან ერთად აღარ შედგება ნათელა მასწავლებლის 100 წლის იუბილე. თუმცა, მისი ქალიშვილი, შვილიშვილები და შვილთაშვილი, ყველა ახლობელი, ყოფილი მოსწავლეებიც უსათუოდ მოიგონებენ და ყოველთვის პატივს მიაგებენ ლამაზი, კეთილი, საყვარელი, შრომისმოყვარე, ღირსეული ადამიანის ხსოვნას.

მშვიდობით, ნათელა მასწავლებელო, მშვიდად განისვენეთ... საუკუნოდ იყოს ხსენება თქვენი.

მზია ცქიფურიშვილი

ვწუხვართ კოლეგისა და მეგობრის იუზა მარუაშვილის გარდაცვალების გამო...

მარიამობას მოესწრო, მაგრამ მეტი ვეღარ შეძლო, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა...

77 წელი იცოცხლა...

77 წელი არც ისე ცოტაა, რომ ღირსეული კვალი ვერ დატოვო ცხოვრებაში, მაგრამ არც ისე ბევრია, რომ ყველაფერი შეძლო და მოასწრო...

ჩვენმა კოლეგამ და მეგობარმა მართლაც ბევრის გაკეთება მოასწრო, მაგრამ ბევრი სურვილიც დარჩა აუსრულებელი...

ბედნიერი იყო... ღირსეულ მეუღლესთან ერთად ხარობდა ღირსეული შვილებით, მათი ოჯახებით.

ბოლო დღემდე არ გაუწყვეტია ჩვენს გაზეთთან თანამშრომლობა. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში შექმნილი წერილებიც კი დაგვიტოვა გამოსაქვეყნებლად...

ჩვენო იუზა, 3 სექტემბერს გამოგემშვიდობებით უკანასკნელად და მშობლიური სოფლის საგვარეულო სასაფლაოზე დაიდებ სამუდამო ბინას...

განისვენე მშვიდად ჩვენო მეგობარო, შენ ისეთი ღირსეული ოჯახი და მეგობრები დატოვე, რომლებიც მუდამ მოგიგონებენ...

„თერჯოლა“

ტკივილი მეგობრის გარდაცვალების გამო

კალამს დიდხანს ვერ ვკიდებდი ხელს დამწუხრებული, ვერ ვიხერხებდი როგორ დამეწყო...

ჩვენ ხომ ერთად განვლეთ თითქმის ნახევარი საუკუნე მმართველ სტრუქტურებსა და მუნიციპალური გაზეთის რედაქციაში.

ერთ სამუშაო ოთახში იდგა ჩვენი საწერი მაგიდები, თვალებში შევქცეროდით ერთმანეთს...

მიმძიმს ახლა ამ ყველაფერზე საუბარი.

იუზა მარუაშვილი—მოქალაქე, ნიჭიერი ჟურნალისტი, ფუძემყარი ოჯახის საიმედო მესაჭე.

იუზა მარუაშვილი—ჩვენი სამეგობროს ერთი გამორჩეული წარმომადგენელი...

სინანულით ნუგზარ გამყრელიძე

გაზეთ „თერჯოლას“ რედაქციის თანამშრომლები მწუხარებას გამოხატავენ თერჯოლისა და თერჯოლელების მეგობრის და გულშემატკივრის ქუთაისის ავტოსაქარხნო რაიონის სპორტკომიტეტის, ქუთაისის სპორტის სასახლის ყოფილი ხელმძღვანელის

თორნიკე კენჭაძის

გარდაცვალების გამო.

სიქთარვის სასოფლო კლუბთან არსებული ქორეოგრაფიულ ანსამბლ „თაობას“ წევრები თანაუგრძნობენ ანსამბლის ხელმძღვანელს მალხაზ აბულაძეს, წარსულ წლებში ცნობილი ქორეოგრაფის და პედაგოგის

ალიმი აბულაძის

გარდაცვალების გამო.

მანანა და დათო კლდიაშვილები ოჯახით მწუხარებაში თანაუგრძნობენ ზაზა რობაქიძეს დედის

ლილი გუმბერიძე-რობაქიძის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „თერჯოლას“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ნაირა ჩინჩალაძეს შვილიშვილის

მირიან კუბლაშვილის

გარდაცვალების გამო.

კვლავ შემოქმედებით ფერხულში

ნიჭიერ მოჭადრაკეს, ნიკოლოზ გავაშელაშვილს ამ დღეებში 75 წელი შეუსრულდა. ამასთან დაკავშირებით ზესტაფონის ჭადრაკის ფედერაციამ მას ორიგინალური „საჩუქარი“ გაუკეთა: კონკურსი გამოაცხადა ორსვლიანი ამოცანების შედგენაში. კონკურსში მონაწილეობდა სამი ავტორის 10 ამოცანა.

კონკურსის მსაჯების—კვლავ შემოქმედებით ფერხულში ნიკოლოზ გავაშელაშვილის და დავით გურგენიძის გადაწყვეტილებით პრიზი წილად ხვდა გივი მოსიაშვილს, საპატიო შეფასების ტიტული მიიღო რუზველტ მარცვალაშვილმა, ხოლო საქები შეფასება—ოთარ სხილაძემ.

სწორედ ამ კონკურსით მიულოცეს ნიკოლოზს დაბადების დღე, ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე უსურვეს მას.

ნიკოლოზ გავაშელაშვილი თერჯოლის რაიონის სოფელ ღვანკითში დაიბადა 1949 წლის 16 აგვისტოს. დაამთავრა ქ. თერჯოლის №1 საჯარო სკოლა, შემდეგ სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი სწავლული აგრონომის სპეციალობით.



მცდარი კვალია 1. კ:e7? d6!
ამოხსნა 1. ლ: e7!

დომბროვსკისის თემა. რაისისა და ფსევდო ლე გრანდების თემების სინთეზი, რომელიც დღეს ამ ამოცანის ავტორის სახელს ატარებს.

წლების განმავლობაში მუშაობდა თერჯოლის გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამსახურში, შემდეგ ოჯახით ქალაქ ზესტაფონში დასახლდა და იქ გააგრძელა მოღვაწეობა. ჰყავს მეუღლე, 2 ტყუპი ვაჟი, სამი შვილიშვილი.

თავის ძირითად სპეციალობასთან ერთად ნიკოლოზის ცხოვრებაში მნიშვნელოვანია სპორტის ისეთი სახეობა, როგორიცაა ჭადრაკი. ის ჭადრაკის არა მხოლოდ კარგი მოთამაშეა, რამდენიმეგზის რეგიონალური პირველობის პრიზიორია. ამასთან, ზესტაფონის „თავისუფალ სკოლაში“ მოსწავლეებს წლების განმავლობაში ასწავლიდა და ეხმარებოდა ჭადრაკის თამაშის დაუფლებაში.

ნიკოლოზი ორი საჭადრაკო წიგნის ავტორიცაა. 2014 წელს გამოვიდა მისი პირველი წიგნი „საჭადრაკო ამოცანები, ეტიუდები, სკახოგრაფიები“, ხოლო 2018 წელს „ოცდაცამეტი სიხარული“, რომელიც ქართული მხედრული ანბანის მიხედვით შექმნილ სკახოგრაფიული ამოცანების კრებულს წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ მას მკვეთრად აქვს გაუარესებული მხედველობა, მაინც ახერხებს საჭადრაკო ამოცანების შედგენას. დროდადრო საბავშვო ლექსებსაც წერს შვილიშვილებისათვის და არა მხოლოდ მათთვის.

„თერჯოლა“ ულოცავს ბატონ ნიკოლოზს დაბადების 75-ე წლისთავს, ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ახალ-ახალ წარმატებებს უსურვებს მას.

მზია ცქიფურიშვილი

P.S. ჩვენთან სატელეფონო საუბარში ბატონმა ნიკოლოზ გავაშელაშვილმა თქვა: მინდა გაზეთ „თერჯოლის“ საშუალებით, ერთი ჩემი პატარა ლექსით ახალი სასწავლო წლის დაწყება მივულოცო ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს.

პირველკლასელთა ოცნება

სკოლაში ფეხი შემოვდგით,
სწავლას ვართ მოწყურებულნი.
წიგნი იქნება დღეიდან
ჩვენი ცხოვრების მეგზური.
რადგან ჩვენი საქართველო
ბრძენთა ნიჭით ელვარებს,
ნაბიჯ-ნაბიჯ დავიპყრობთ
ცოდნის მაღალ მწვერვალებს.
კარგი სწავლით, კარგი გარჯით
გვინდა გავხდეთ გმირი.
ბევრჯერ უნდა ავაჟღეროთ—
საქართველოს ჰიმნი.

27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღეა. დიდი სურვილი მაქვს, რომ ჩვენ და აფხაზებმა მალე მივხვდეთ, რომ ჩვენი სიძლიერე და წარმატება მხოლოდ ჩვენს ერთობაში და ძმობაშია!—გვითხრა მან.

აფხაზეთი, ტკივილი ჩვენი

აფხაზო ძმებო, შევრიგდეთ,
დავუშვათ იარაღები,

სოხუმში ერთად აღვმართოთ,
ჩვენ ძმობის ბაირაღები.
დროა ჩვენი სამშობლოდან
მტერი ერთად ავლაგმოთ,
შერიგების სიმბოლოდ
ძმობის დროშა ავღმართოთ.

ჭადრაკი

ჯემალ მახათაძის საჭადრაკო მემორიალი

ქალაქ ზესტაფონში, 10-11 აგვისტოს, გაიმართა ჯემალ მახათაძის მე-8 საჭადრაკო მემორიალი, სადაც საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის 200-მდე მოჭადრაკე მონაწილეობდა, მათ შორის ა(ა)იპ თერჯოლის სპორტული სკოლის ჭადრაკის წრის მოსწავლეები.

ჯემალ მახათაძის მემორიალი „2024“, ზესტაფონის ჭადრაკის ფედერაციის ორგანიზებით და ზესტაფონის მერიის მხარდაჭერით გაიმართა. ტურნირი მიმდინარეობდა შვეიცარული სისტემით ორი დღის განმავლობაში.

ტურნირზე წარმატებით გამოვიდა და მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავა გეგა გაბრიჭიძემ (თერჯოლის №2 საჯარო სკოლა), პედაგოგი (მწვრთნელი) ეროვნული ოსტატობის კანდიდატი მერი ჩაფიჩაძე.

დაჯილდოების ცერემონიალში მონაწილეობას იღებდნენ.

ტურნირს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ვიცე პრეზიდენტი გიორგი გიორგაძე და საერთაშორისო დიდოსტატი, ლეგენდარული მოჭადრაკე ნანა იოსელიანი, ასევე ზესტაფონის მერიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, რომლებმაც დაჯილდოების ცერემონიალში მიიღეს მონაწილეობა.

გამარჯვებულებს გადაეცათ ფულადი პრიზები, თასები, შესაბამისი ხარისხის დიპლომები და მედლები.

საჭადრაკო ფესტივალი „რაჭა 2024“

გასული თვის დასაწყისში, ქ. ამბროლაურში, ჩატარდა საჭადრაკო ფესტივალი „რაჭა 2024“. ფესტივალის ორგანიზატორები: ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია, ამბროლაურის სასპორტო სკოლა, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის ჭადრაკის ფედერაცია.

ტურნირში საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის 150-მდე მოჭადრაკე მონაწილეობდა, მათ შორის თერჯოლის ა(ა)იპ სპორტული სკოლის ჭადრაკის წრის 3 მოსწავლე (პედაგოგი ეროვნული ოსტატობის კანდიდატი მერი ჩაფიჩაძე).

ტურნირი მიმდინარეობდა შვეიცარული სისტემით 7 ტურად.

16 წლამდე ჭაბუკთა შორის მე-2 საპრიზო ადგილი დაიკავა გიორგი ბუცხრიკიძემ (თერჯოლის №1 საჯარო სკოლა), რომელიც დაჯილდოვდა შესაბამისი ხარისხის დიპლომით და ვერცხლის მედლით.

წარმატებით იასპარეზეს და კარგი შედეგი აჩვენეს 12 წლამდე ჭაბუკთა შორის გეგა გაბრიჭიძემ (თერჯოლის №2 საჯარო სკოლა) და 12 წლამდე გოგონათა შორის ლანა სოფრომაძემ (რუფოთის საჯარო სკოლა). მათ წილად ხვდათ მე-5 ადგილი.

დაჯილდოების ცერემონიალს მერის მოადგილე თამარ ქევანაშვილი, მერიის სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდა.

ფესტივალის დასასრულს, სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში გამარჯვებულ ბავშვებს თასები, მედლები და დიპლომები ადგილობრივი ხელისუფლების, სასპორტო სკოლისა და ჭადრაკის ფედერაციის წარმომადგენლებმა გადასცეს.

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75

მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872